25/11/2026

MES 5 26 0001711282

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - მწვანე სკოლა - საბურთალო:
სესილი გელოვანი - სკოლის დირექტორი
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი
სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა:
ლალი კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა:
ბიძინა ტაბაღუა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა:
გელა სირაძე- სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლა:
ნინო ონიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლა:
ირინე წიკლაური - სკოლის დირექტორი
სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა:
სალომე აბრამიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა:
მზევინარ მუთიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს - მწვანე სკოლა - საბურთალო:
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 13 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ

პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 1-ელ და მე-2 საკითხებს საბჭო განიხილავდა გაერთიანებულ ფორმატში, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებასა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას.

1. **შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა**
2. **შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 ოქტომბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ განაცხადით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1750. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1750 მოსწავლისთვის.
ექსპერტის, მერი ქვრივიშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ორი ძირითადი და ორი დამხმარე შენობა, თუმცა, მოგვიანებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N41-ში ააშენა ახალი შენობა, რაც გახდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო თანამშრომლობაზე და მმართველი გუნდი მუდმივად ზრუნავდა სასწავლო პროცესის განვითარებაზე, ასევე, სკოლა ფლობდა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებულ სამ დამოუკიდებელ შენობას, ხოლო ეზო წარმოადგენდა ერთგვარ სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც მოწყობილი იყო მოსასვენებელი სივრცეები, ღია სპორტული მოედანი, მათ შორის კორტები და პატარა ფლორისტების სივრცე, ორანჟერეა. ექსპერტის განმარტებით, დაწყებით საფეხურზე ხორციელდებოდა მრავალი პროექტი, რაც მოსწავლეებში ავითარებდა მეწარმეობისა და სოციო-კულტურული ღირებულებებს.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, ისაუბრა ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევა, რომელიც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილ უწყებასთან დროულ მიმართვას.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას სამივე შენობაზე მოპოვებული ჰქონდა ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და სამივე შენობა იყო სრულად ადაპტირებული.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რამდენად ჰქონდა სკოლას რესურსი, რომ 1750 მოსწავლისთვის შეუფერხებლად განეხორციელებინა საგანმანათლებლო საქმიანობა. ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ სკოლა კონტინგენტს ზრდიდა 200 მოსწავლით, რისთვისაც დაიმატა საკმაოდ დიდი ფართის შენობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე შენობა მდებარეობდა ერთ შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ერთმანეთისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით. შენობები სრულიად იყო აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით და სკოლას ჰქონდა 1750 მოსწავლეზე მეტის მიღების რესურსიც.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა შესაბამისი რაოდენობის ადამიანური რესურსი და ამ მიმართულებით სკოლას არ შეექმნებოდა რაიმე სახის დაბრკოლება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა.

1. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი;
2. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1750 -ით განსაზღვრის საკითხი.

დაწყების დრო - 14:47
დასრულების დრო -14:51

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

1. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს (ს/კ: 405632356) მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილება და დაწესებულებას დაემატოს ფართი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N37 (სამი ძირითადი და ორი დამხმარე შენობა ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N37 (სამი ძირითადი და ორი დამხმარე შენობა ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N37 (სამი ძირითადი და ორი დამხმარე შენობა ნაგებობა)

2. გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს (ს/კ: 405632356) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1750-ით.

3. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 01 ივლისის N830816 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვის, შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სათვალთვალო კამერებით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვისა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ლალი კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ საკუთარი ბიუჯეტით დაამონტაჟა 20 სათვალთვალო კამერა. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საუბრისას მან განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მოეწყო შესაბამისი განათება, სიგნალიზაცია და დეტექტორები, დასასრულებელი დარჩა წყლის ავზისა და საევაკუაციო კიბის მოწყობა, რის გამოც სკოლას შესაბამისი უწყებისთვის ჯერ არ მიუმართავს. ამასთანავე, პირველ სართულზე სრულად გარემონტდა ელექტროსისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:58
დასრულების დრო: 15:03

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

4. სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ავტორიზაციის წარმოების ფარგლებში იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 09 ივნისის N689270 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/ერთეულების განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ბიძინა ტაბაღუამ, აღნიშნა, რომ სკოლამ სამოქმედო გეგმაში დეტალურად გაწერა შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები, რის შედეგადაც აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შესრულდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:07
დასრულების დრო: 15:09

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 ოქტომბრის N1295772 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის სექტემბრამდე 1.2 და 4.2 კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ (სტრატეგიული გეგმა, ბრძანება ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, გელა სირაძის თქმით, სკოლას შესრულებული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან გაცემული ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:12
დასრულების დრო: 15:14

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

6. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 01 ოქტომბრის N1246499 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნინო ონიანმა, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დროს სკოლას შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვებაზე განაცხადი გაკეთებული ჰქონდა, თუმცა დასკვნა მოგვიანებით მოიპოვეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:23

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 20 ნოემბრის N1496165 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ნოემბერში
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ირინე წიკლაურმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საკუთარი ძალებითა და შესაბამის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სტანდარტების შესაბამისად მოაწყო STEM ლაბორატორია. რაც შეეხებოდა ლაბორატორიის ინვენტარით სრულად აღჭურვას, დირექტორმა აღნიშნა, რომ მარტის თვეში მიღებული ოფიციალური წერილის საფუძველზე სკოლამ წარადგინა ინფორმაცია საჭირო აღჭურვილობის შესახებ და მიიღო დასტური, რომ დაწესებულებას უახლოეს მომავალში მიეწოდებოდა შესაბამისი რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 15:30

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ინვენტარის განახლება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

8. სსიპ - ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 30 აგვისტოს N1034319 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025

წლის აგვისტოში ტექნოლოგიებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის აყვანის, ექიმის დასაქმების, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ლაბორატორიაში სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ექიმის დასაქმებისა.
სკოლის წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:34
დასრულების დრო: 15:38

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ექიმის დასაქმება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის სექტემბერში წარმოდგენა.

9. სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 05 აგვისტოს N952244 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის სექტემბერში სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის, ხოლო 2026 წლის ივლისში ადაპტირებული გარემოს მოწყობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, სალომე აბრამიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შესასრულებელი ჰქონდა სამი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა მედიკამენტების შეძენასა და 41/ნ ბრძანების შესაბამისად დანართების წარმოებას, რაც სკოლის მიერ სრულად იქნა შესრულებული. მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა გარემოს ადაპტირებას, ამ მიმართულებით სკოლამ უზრუნველყო საპირფარეშოების ადაპტირება, თუმცა დირექტორმა განმარტა, რომ ადაპტირებული იყო მხოლოდ საპირფარეშოები და არა მთლიანად შენობა. მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის განთავსებას, რაც ასევე შესრულებული იყო სკოლის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:47

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 05 სექტემბრის N1075463 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის აგვისტოში ექიმის/ექთნის აყვანის, შენობა-ნაგებობის სრული ფართის საჯარო რეესტრში ასახვის, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის, ფიზიკისა და ისტორიის საგნების მასწავლებლების დასაქმების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლას არ წარმოუდგენია არც ერთი რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მზევინარ მუთიძემ, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლაში მოეწყო გამწოვი სისტემები და სიგნალიზაცია, თუმცა საბოლოო დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ მოპოვებული არ ჰქონდა. გარდა ამისა, სკოლამ ექიმის ვაკანსია ორჯერ გამოაცხადა, თუმცა დარეგისტრირებული კანდიდატები გარკვეული მიზეზების გამო არ გამოცხადდნენ, რის შემდეგაც საშტატო ერთეული შეიცვალა ექთნის პოზიციით. ამჟამად გამოცხადებული იყო ექთნის ვაკანსია, თუმცა კვლავ იყო აპლიკანტთა გამოუცხადებლობის პრობლემა. პედაგოგიური კადრების საკითხზე დირექტორმა ისაუბრა, რომ სექტემბრის თვიდან ვაკანსიები ორჯერ გამოცხადდა, თუმცა დაინტერესებული პირები არ იყვნენ, არსებული არასერტიფიცირებული მასწავლებლების ნაწილი დარეგისტრირდა ზამთრის პროფესიულ გამოცდებზე, ხოლო ნაწილი გეგმავდა ზაფხულში გასვლას, შესაბამისად, ზაფხულის გამოცდებამდე აღნიშნული საათები დროებით გადანაწილებული იყო სკოლის სერტიფიცირებულ პედაგოგებზე.
საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა, სკოლის დირექტორს მისცა რჩევა, მიემართა პროგრამისთვის „ასწავლე საქართველოსთვის“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 15:54

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (ექიმის/ექთნის აყვანა, შენობა-ნაგებობის სრული ფართის საჯარო რეესტრში ასახვა, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის, ფიზიკისა და ისტორიის საგნების მასწავლებლების დასაქმება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების

ლაბორატორიის სრულად აღჭურვა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის სექტემბერში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:57 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე